

განაცხადი საბანკო მომსახურების საერთო პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

სს საქართველოს ბანკი გაცნობებთ, რომ ბანკის გადაწყვეტილებით 2017 წლის 24 ნოემბრიდან, ფიზიკური პირების მიერ ყველა ტიპის საბანკო პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებ(ებ)ის სარგებლობასთან დაკავშირებულ შეტყობინებების მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთ კონკრეტულ მობილური ტელეფონის ნომერზე (ფინანსური ნომერი), შესაბამისად ფიზიკურ პირებს რომლებსაც სხვადასხვა მომსახურების/პროდუქტებით სარგებლობის მიზნით ბანკში დაფიქსირებული აქვთ ერთზე მეტი მობილური ტელეფონის ნომერი, წინამდებარე ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან, ყველა ტიპის საბანკო პროდუქტებთან/მომსახურებებთან დაკავშირებით შეტყობინებებს მიიღებენ ბანკის მიერ ცალმხრივად შერჩეულ ერთ კონკრეტულ ნომერზე.

წინამდებარე ცვლილებების ძალაში შესვლამდე ფინანსური ნომრის ცვლილება შესაძლებელია ნებისმიერ დროს სერვის ცენტრში ვიზიტის გზით ხოლო ძალაში შესვლის შემდეგ სერვის ცენტრში ვიზიტით ან/და დისტანციური საბანკო პროდუქტების მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია სს საქართველოს ბანკის ვებ გვერდზე www.bankofgeorgia.ge.

პატივისცემით

სს საქართველოს ბანკი